ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 299

“ 15 ” აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბასა და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.10.18.011.010; №01.10.18.011.009; №01.10.18.011.011) ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტის დასამუშავებლად გაცემულ 2012 წლის 26 აპრილის №1041 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე” ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ” ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 11 მაისის №19 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 07 ივლისის №04/7844 წერილის (AR1497251) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბასა და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.10.18.011.010; №01.10.18.011.009; №01.10.18.011.011) ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტის დასამუშავებლად გაცემულ 2012 წლის 26 აპრილის №1041 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში. საპროექტო არეალში დაფიქსირდეს შემდეგი საკადასტრო ერთეულები: №№01.10.18.011.010; 01.10.18.011.009; 01.10.18.011.065; 01.10.18.011.064 და საპროექტო ფუნქციურ დანიშნულებაში დაფიქსირდეს: ერთბინიანი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი